

# მინაშელ უკავები

ပြည်သူ့—ပဒေကျမှုလုပ် ရုံးချုပ်

ප්‍රංශය, 16 රුපත්‍රවාසිකු 1911 සොලු

የጊዜ-ጥቃት የሚከተሉ በኩል ስለዚህ ተስፋዎች  
በደረሰ መሆኑን የሚከተሉ በኩል ስለዚህ ተስፋዎች  
የጊዜ የሚከተሉ በኩል ስለዚህ ተስፋዎች  
የጊዜ የሚከተሉ በኩል ስለዚህ ተስፋዎች

ବ୍ୟାଙ୍ଗରୁଙ୍କ ଫ୍ରେମ:		ନୀଳ ପିଲାତ:		ମେଲିଲାଦନ ଖଲାଳ କଲେତମଦୀଳ
3	ମାନ୍ୟତା.	2	ମାନ୍ୟତା.	10 ଶ୍ଵାରୁ.
ଲୋକାଳୀରୁ:		ମାନ୍ୟତା:		ଶ୍ଵାରୁରୁ.

შინაარსი: 1) დაკარგული დიდება; 2) კიდევ სამღვ-  
დელოების ჯამაგირების შესახებ; 3) კვირიდამ-კვირამ-  
დე; 4) მცირე განმარტება—მღ. სევ. ჰექლიძისა; 5)  
კრიტიკული შენიშვნები—ხომლელისა; 6) სიტყვა არქი-  
მანდრიტი ნესტორისა; 7) Laudans eum opera  
eius; 8) ბერის დღიურიდან—ალექსი ბერისა; 9) იგა-  
ვი (რუსულით) —მღ. იოანე ლუკიანოვისა.

დაკარგული დიდება.

დეკრიტის დფთისმშობლის ხაზი მოსკოვში.

მოსკოვის ივერიის ღვთისმშობლის ხატი,  
რომელიც ასე პატივცემულია მთელ რუსეთში  
და განსაკუთრებით მოსკოვში, არის პირი ათო-  
ნის კარიბჭის ღვთისმშობლის ხატისა, რომელი-  
ზედაც ლაპარაკი გვქონდა „შინაური საქმეე-  
ბის“ № 31-ში. მისი გადმოლების ამბავს ასე  
მოვცითხოობს ათონის ივერიის მონასტრის წინამ-  
ძღვარის არქიმან დრიტის პახომის გრამატა, რომე-  
ლიც მან და მასთან ერთად 360 მოლვაწემ გაუგ-  
ზავნა რუსეთის მეფეს ალექსი მიხეილის ძეს:  
„როცა ხატის დაწერა განვიძრახეთ, ჟევკრი-  
ბეთ მთელი მონასტრის 360 ძმანი და გადვი-  
ხადეთ დიდი პარაკლისი ღმისთვევით საღმო-  
დან დილამდი, და ვაკურთხეთ წყალი წმ. ნაწი-  
ლებით, ~~ამ წმიდა წყლით გავბანეთ ყოვ-~~  
~~ლადწმიდა სახტის კარიბჭის ღმისმშობლისა,~~

შემდეგ ამ წყალში გავბანეთ ფიცარი კვიპარო  
სისა, რომელზედაც უნდა გადავფერო წმიდა  
ხატი. შემდეგ შევასრულეთ წმიდა და ღიღე-  
ბული წირვა და წმიდა იგი წყალი და ნაწი-  
ლები გადავეცით ლირს მდვდელმონაზონს და  
სულიერ მამას იავმელექ რომანოვს, რომ მას  
წმიდა წყლითა და ნაწილებით შეეზავებია  
მთელი ოხრა და სალებავი და ისე დაეწერა ხა-  
ტი. ხატვის დროს მხოლოდ შაბათ-კვირაო-  
ბით მიიღებდა ხოლმე საჭმელს და ღიღები მაცა-  
დინებით და მღვიძარებით აღასრულა იგი.  
სანამ ხატს დაასრულებდა მე ჩემი ძმებითურთ  
კვირაში ორჯერ ვიხდიდი ღიღებით პარაკლისს და-  
მის თვეით და ყოველ დღე ვასრულებდით სა-  
ღვთო ლიტურლიას. შემდეგ ამისა 360 ძმები-  
საგან ავირჩიო ხამი ბერი: ეკლესიარხი და მე-  
უდაბნოე კორნელი, რომელსაც უყვარს საღვ-  
თო მყუდროება და სცხოვრობს უდაბნოში ნე-  
ტარ გაბრიელის მთაზე, რომელმაც მიიღო  
წმიდა ხატი ღვთისმშობლისა ზღვიდგან; ეს  
მეუდაბნოე მხოლოდ შაბათ-კვირის იმევს საჭ-  
მელს მსვანესად ნეტარისა გაბრიელისა; ნამეტა-  
ნი მარხულობისაგან იგი მეტად დასუსტდა და  
არ ძალუს ამ სიშორეზე მოზაურობა, მაგ-  
რამ მაინც მიღის, მინდობილი ყოვლად წმიდა  
ღვთისმშობლის ხატის მფარველობაზე, შეწევ-  
ნითა ღვთისათა და ლოცვითა ყოვლად წმიდისა  
ღვთისმშობელისათა; და მასთან (ვგზავნი) ბერს  
ეგნატეს და იეროდიაკონს დამაკინეს და ამათ  
ვატან ღვთისმშობლის ახალ ხატს. ეს ხატი  
არაფრით არ განიჩევა პირველისაგან, არც  
სიგრძით, არც სიგანით, არც სახით, ერთი  
სიტყვით ისეთივეა, როგორც ძველი».

ეს ხატი წამოასვენეს სსენგბულმა ბერებ-  
მა 1648 წ.- ივნისის 15 რიცხვს და მოასვენეს  
მოსკოვში იმავე წლის ოკტომბრის თვეში.  
ნაცვლად ამ ღიღი საჩუქრისა, მეფემ ნება მის-  
ცა ივერიის ათონის მონასტერს ყოველ ათ  
წელიწადში ერთხელ ნებაყოფლობითი შეწი-  
რულება შეეგროვებია მთელ რუსეთში მონას-  
ტრის სასარგებლოთ. ეხლა ამ უფლებით, რო-  
გორც ვიცით, ბერძნები სარგებლობენ, რომ-  
ლებიც ქარტრონებიან დღეს ამ ივერიის ღი-  
ღებასაც.

ღიღი პატივითა და კრძალულურების წევ-  
ურობა მართლმადიდებელი რუსეთი და გამოსაქმებული ი-  
თრებით მოსკოვი სსენგბულ ხატს. ამბობენ ბევ-  
რი სასწაულიც ხდება მისგანო. თითოეულ მოს-  
კოველ რუსს ღიღი ბეღნიერებათ მიაჩნია ამ  
ხატის შინ მოსვენება და მის წინაშე პარაკლი-  
სის გადახდა. მსურველი ერთი წლის წინეთ  
მაინც უნდა ჩაეწეროს, რომ ელიტსოს ხატის  
თავის სახლში მოსვენებას. სადაც კი გაივლის  
ამ ხატით გრძლი, გამვლელ-გამომვლელი მო-  
წიწებით ქუდს იხდის და პირქვე ემხობა. პა-  
რაკლისის შემდეგ ბევრი ასობით და ათას მა-  
ნეთობით სწირავენ ხატს. ნამეტანი ბევრი  
მსურველებისა გამო ხატი თითქმის სულ მოგ-  
ზაურობაშია და გადადის ოჯახიდან ოჯახში.  
რა ბეღნიერი ვიქნებოდი მე პირადათ,  
რომ ამის ნახევარ პატივისცემას ვხევჟავდე ჩენ-  
ში ივერიის კარიბჭის ღვთისმშობლის მიმართ!  
მაგრამ გავჭრა ჩენში სული სარწმუნოებისა  
და წმიდანთა პატივისცემისა, აღარ გვიღვივის  
გულში მამა-პაპური სიყვარული ღვთისმშობ-  
ლისა, აღარ ემხობიან მისი ხატის წინაშე ასო-  
ბით ჩენი მოღაწენი; ათ წელიწადში ერთ-  
ხელ თუ ვინმეს აღეძვრის სურვილი კარიბჭის  
ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ შევრდო-  
მისა და წმ. ათონზე მოღვაწეობისა. იქ, ხა-  
ტაც ერის წარჩინებული, მეფენი, მხედარნი  
და მხედართმთავარნი, უარმყოფელნი ქვეყნი-  
ური დიდებისა და პატივისა, მოღვაწეობდენ,  
სად ლოცვას და მარხვა-მოთმინების ერთმანეთს  
ჯაბრებოდენ ჩენი მძლეობა მძლენი წინაპარ-  
ნი, იქ, იმ ადგილზე, ეხლა მხოლოდ ორმო-  
ციოდე უბრალო ხალხის შეიღებილა დარჩენი-  
ლან, რომელთა ღვაწლა და ყოფა ცხოვრე-  
ბას ვერ იცნობს აუარებელი უმეტესობა ჩე-  
ნი ქართველობისა.

შემდეგი იქნება.

კიდევ სამღვდელოების ჯამაგირების შე-  
სახებ.

„გაზ. კაპეკიაში“, საიდგანაც უმთავრე-  
სად მოეფინა ქვეყანას ცნობა სამღვდელოე-  
ბის ჯამაგირით უზრუნველ ყოფაზე, სიტყვა-



სიტყვით ასეთ ნათქვამი: „თანახმად სახელმწიფო ხათათბიროს სურვილისა შესახებ ქალაქის და სოფლის მართლმადიდებელ სამღვდელოების მატერიალურ უზრუნველყოფისა, სინადის მიერ არჩეულ იქმნა განსაკუთრებული საბჭო, რომელმაც ახლა ხან დაასრულა თავის მუშაობა ამ საქმის შესახებ. საბჭომ საჭიროდ სკნო სამღვდელოების უზრუნველყოფის ნორმათ მიღებულ იქმნეს არა ჯამაგირი რომელიმე განსაზღვრულ წყაროდგან, არამედ ყველა საშვალება ერთათ, რაც საკმარისია, რომ არა ღარიბულად იცხოვოს ცოლშვილიანმა კაცმა. და რომელიც შესაძლებელია შემოვიდეს სხვადასხვა წყაროდან. ასეთ უმცირეს ნორმათ საბჭომ სკნო მღვდლისათვის 1200 მანეთი, დიაკვნისთვის 800 და მედავითნისთვის 400. უმაღლეს სწავლა დამთავრებულ მღვდლთათვის ასეთ ნორმათ მიიღო 1500 მანეთი. საბჭომ სურვილი გამოსთქვა, რომ პენსიაც გადიდებულ იქმნას და უდრიდეს ნორმალურ სარჩეოს ნახევრას. რაც შეეხება განათლების კუნძულს, საბჭომ საჭიროთ სკნო სამღვდელო კანდიდატებს მოეთხოვოს საშუალო სასწავლებლის კურსის გავლა, სადიაკვნო კანდიდატებს — საეკლესიო სამასწავლებლო შკოლის და სამედავითნო კანდიდატებს სასულიერო სასწავლებლის ან მეურე კლასიან სამრევლო შეკვეთის კურსის გავლა. საბჭომ სასულველათ სკნო აგრეთვე, რომ სამღვდელოება ასრულებდეს საიდუმლოებას და ქრისტიანეთა თვის სავალდებულო მღვდლმოქმედებას უსასულოდ“.

აი სიტყვა სიტყვით ის, რაც ითქვა სამღვდელო-კის უზრუნველყოფის შესახებ. აქ არც ჯამაგირებზეა ლაპარაკი, რომ კარგათ დაუკვირდეთ საქმეს. აქ მხოლოდ ცხოვრებისთვის საკმარის საშვალებაზეა ლაპარაკი, მიუხედავათ იმისა, თუ საიდგან შემოვა ეს საშვალება — პირდაპირ ხალხიან, თუ ხაზინიდან, ან სხვა რამე წყაროდან. აქ შესაძლებელია რამოდენიმე ნაწილი, მაგ. ვთქვათ, ის რაც დღეს ჯამაგირის სახით ეძლევა კრებულს, ხაზინაშ ირვიტოს, დანარჩენი კი ხალხს გადახდევინოს, რაც მოსალოდნებლია, შეფრთ გაამწვავებას ისედაც გამწვავებულ

დამოკიდებულებას მღვდლებსა და მღვდლების არის. ჩვენი სურვილია განსაზღვრული ჯამაგირი, რომ მღვდელი ხელს არ იშვერდეს მრევლისკენ, რომ იგი არ ყიდდეს, არ ვაკრიბდეს თავის თანამდებობით. ასეთი კი არაფერია ზემო მოყვანილ ცნობაში.

კიდევ ვიმეორებთ: ჩვენ ადგილობრივ გაზეთებს ცუდათა აქვთ ეს ცნობა მოყვანილი და ურიგო არ იქნება ხელახლა სისწორით გადასცემდენ მკითხველებს, რადგან, როგორც ვთქვით,\* ასეთი ცრუ ცნობები ბევრ უსიამოვნობას დაბადებენ სახოვადოებაში.

### კვირიდამ-კვირამდე.

ყოვლად სამღვდელო გიორგი ხელახლა გაემგზავრა ოკრიბის საბლალობინოში სარევოზით, მოიარა იგი და 13 ოკტომბერს დაბრუნდა ქუთაცეში. ურიგო არ იქნებოდა მხლებულ მღვდელს აეწერა მისა მეუფების მოგზაურობა და გადმოეცა რედაქციისათვის.

როგორც გვარშმუნებენ, საეკლესიო შეკვების მეთვალყურის ადგილზე იმერეთში ინიშნება თფილისელი რესი, რომელსაც უნივერსიტეტი შეესრულებია და რომელიც დღეს სახალხო მატარებლების კონტროლის თანამდებობას ასრულებს.

სამინისტრო შეკვების დირექტორად ქუთაისის გუბერნიაში დაინიშნა ტამბოვის ეპარქიის საეკლესიო შეკვების მეთვალყურე ბ. კრუპსკი, ხოლო მის თანაშემწერ პირველ რაიონში ბ. კარპოვი, ორივეს აკადემია აქვთ დამთავრებული, ორივე ჩამოვიდენ დაუკვე შეუდგენ თავიანთ სამსახურს.

მისი მეუფების ცირკულიარის ძალით იმერეთის ეპარქიის ბლალობინებში უნდა წარმოადგინონ თითოეული ეკლესიიდებან 1 მან. და 62 კ. სასულიერო სასწავლებლის შესაკეთებლათ, თბილისშით 52 დეპუტატთა ქრების დადგენილებისა. თითოეული საბლალობინოდან წარმოსადგენი თანხა უნდა განაწილებულ იქმ-

\* ) იხ. „შინ. საქ.“ № 32.

ნეს ეკლესიებზე მათი შეძლების მიხედვით.

მეორე ცირკულიარი ავალებს ბლალოჩინებს წარმოადგინონ ხაზინაში არა უგვიანეს ამა ოკტომბრის დამლევისა თთო მანეოთ შესავალ-გასავლის წიგნების შესაძნათ.

იმერეთის ეპარქიალური კანცელარია ატყობინებს ბლალოჩინებს რომ მისმა მეუფებამ ნება დართო 52 კრების დადგნილებას, რომლის ძალით საკითხი მღვდლის თად. შვანგოძის ქვრივ-ობლების შემწეობის აღმოსენის შესახებ განხილულ უნდა იქმნას საბლალოჩინო სამღვდელოების კრებებზე.

იმედია სამღვდელოება ყურადღებას მიაქცეს სსენებულ ქვრივ-ობლების უმწეო მდგრადიებას და თან დაუფიქრდება თავის მდგრადიებასაც და იზრუნებს შექმნას სათანადო დაწესებულება მსგავს შემთხვევაში დასახმარებლათ.

როგორც გადმოგვცეს, გურია-სამეგრელოს სამღვდელოების კრებაჲ საჭიროთ სცნო გაზეთ „შინაური საქმეებას“ სავალდესულოთ გამოწერა ყველა ეკლესის კრებულისათვის. თუ ეს მართალია, საჭირო იყო ეცნობებიათ ბლალოჩინებისათვის, რომ შესაფერი ზომები მიეღოთ. დღეს გურია-სამეგრელოს ეპარქიადგან გაზეთს მხოლოდ ბლალოჩინები ითანე კეჩებაძე (13 ცალს), თეოფანე კალანდარაშვილი (10 ცალს), დეკ. კ. გაწერელი (10 ც.) და დეკ. გ. ბერიძე (13 ც.) იწერენ, და კიდევ ორი თუ სამი მღვდელი. შეიძლება ეს თვით გაზეთის უვარევისობის ბრალი იყოს, მაგრამ რომ არც სხვა ურნალ-გაზეთებს ეტანებიან სსენებული ეპარქიის მამები? ამ დროში და სამღვდელოება არაფერს კითხულობდეს, პირდაპირი დანაშაულობაა და თავის თანამღებობის საცინლად აგდება!

ლის წერილი „ქართული ლექსიკონის“ სადაც სხვათა შორის შემდეგი ტიტულების წყრელი მოყვანილი: „ჩვენს სამღვდელოებას საეკლესიო, მუდამ სახმარი, წიგნებიც ვერ დაუბეჭდია და უწმიდესი სინოდი „სამადლოთ“ ვაიბეჭდავს და ჩვენ მეორედ ლექსიკონის დამბეჭდავი ვართ?“ და ს. ვერ გავიგეთ მარტო ქართველ სამღვდელოებას ავალებს მ. ოქროშეკელლიშვილი ლექსიკონის გამოცემას თუ მთელ ქართველ საზოგადოებას. მაგრამ დავანებოთ იმას თავი. საქმე იმაშია, რომ უწ. სინოდი თურმე „სამადლოთ“ უბეჭდავს ქართველ სამღვდელოებას საეკლესიო წიგნებს. არ ვცით ავტორს გაუგებრობით მოუვიდა ამის აქმა, თუ განგებ ხუჭავს სინამდვილეზე თვალებს. ადამიანი „სამადლოთ“ ვაშინ მოქმედობს და აკეთებს რამეს, როცა მოპირდაპირისაგან არც მიუღია რა და არც ლებულობს და ისე მაღლისთვის, როგორც სოფლათ იტყვიან, სულის საოხათ სჩადის ამა თუ იმ კეთილ საქმეს. ვნახოთ, ამართლებს თუ არა უწ. სინოდის მოქმედება ამ დებულებებს და ჩაითვლება თუ არა სინოდის მიერ წიგნების ბეჭდვა „სამადლოთ“ და ნაცვლად მისა მიუღია თუ არა უწ. სინოდს ჩვენი სამღვდელოებისაგან რამე. როდის იყო, რომ უწ. სინოდი ვისმეს-თვის და განსაკუთრებით კი ქართველ სამღვდელოებისთვის რამეს „სამადლოთ“ შვებოდა და წიგნების ბეჭდვის მხრივაც რომ არ ჩაითვლება აგრეთა მისი (სინ.) მოქმედება, ამას დავითახავთ შემდეგი ცნობებიდან. ამ საკითხის განმარტება მით უფრო საჭიროა, რომ მკითხველი საზოგადოება მ. ოქროშეკელლიშვილის სრუყებმა შეცომაში არ შეიყვანონ.

დავიწყოთ იქიდან, რომ უწ. სინოდი საქართველოს ეკკლესიის შესანახათ ყოველ წლიურათ ხარჯავს 809,808 გ. და 48 კ. ეს თანხა ისე ნაწილდება: 1) სინოდალური კანტონის, ექსარხოსის კანცელარიის, საკრებულო ტაძრების, მონასტრების და სასწავლებლებისათვის ქართლ-კახეთის ეპარქიაში იხარჯება 144,348 გ. და 89 კ.; ამავე ეპარქიის სამღვდელოების შესანახად 167,752 გ. და 52 კ.

83 0 6 8 8 1 6 0 8 1.

„სახ. გაზეთის“ 358 ნომერში დასტამ-ბული იყო ქვაშ. მთ. ნ. ოქროშეკელლიშვი-

2) იმერეთის ეპარქიაში კ:ნცელარიისთვის, სა-  
სწავლებლებისთვის, საკრებულო ტაძრისთვის  
და მონასტრებისთვის იხარჯება 34,952 გ. და  
25 კ.; სამღვდელოების შესანახად 157,747 გ.  
და 64 კ. 3) იმავე საგნებისთვის გურია-სამე-  
გრელოს ეპარქიაში 29,300 გ. და 98 კ. და  
სამღვდელოებისთვის 138,866 გ. და 82 კ. 4)  
სოხუმის ეპარქიაში იმავე საჭიროებისთვის  
12,474 გ. და 40 კ. და სამღვდელოების შე-  
სანახად 24,995 გ. და 50 კ. 5) ქისტაბანო-  
ბის ორგანიზაციის საზოგადოებისთვის 100,000  
გ. და სრულიად 809,808 გ. და 48 კ. \*) ეპარ-  
ქიებზედ ეს თანხა ასე ნაწილდება, მაგრამ უნ-  
და მივიღოთ მხედველობაში, რომ საექსარხო-  
სოში მრავალი წმიდა რუსის სამრევლოებია  
და წმიდა ქართულ სამრევლოებს დიდი იქნე-  
ბა, ძალიან დიდი 400 ათასი მანეთიც თუ ხდება.  
საეგზარხოობაში არის სულ 2055 სამრევლო  
და მათში საშუალო ნორმალურ წლიურ ჯა-  
მაგირებს აზ ღებულობდა 1910 წელს 150  
სამრევლო \*\*) ის ეს არის მოყლი ხარჯი რა-  
სიც უწმიდესი სინოდი ეწევა საქართველოს  
ეკლესიის შესანახათ. ეხლა კი ვნახოთ თუ რა  
მიიღო უწ. სინოდმა საქართველოს ეკლესიიდ-  
გან, ნაღდი ფული იყო ის თუ მმული და  
მიიღო კი სეფთები თუ არა?!

საქართველოს ეკლესიის მოელი თანხა,  
რომელიც უწმ. სინოდის განკარგულება-  
შია 1905 წელს უდრიდა 257,759 მ. და 80  
კ. რაც იძლეოდა ყოველწლიურად 9,792 მ.  
და 20 კ. სარგებელს (\*\*\*) ეს ნალდ ფულად-  
ამას გარდა 1852 წ. 5 გიორგ. უმაღლესის  
ბრძანებით სინოდისადმი ქართლ-კახეთის საე-  
კლესიო მამულები შეირაცხა სახელმწიფოთ და  
მის ნაცვლად დაადგინეს ეძღიათ სამლეველო-  
ებისათვის ყოველწლიურათ 76 ათასი მანეტი.

<sup>\*)</sup> а. ба<sup>т</sup>хмээзо. Средства содержания гру-  
зинской автокефальной церкви.

\*\*) Прибавление къ церковнымъ вѣдомо-  
стямъ за 1910 г. № 40.

\*\*\*) в баԸնտառ. Капиталы грузинской церкви Духа Святого 1908 г. № 5 стр.

кви дух. Въс. Груз. экзар. 1906 г. № 5 стр.  
9—14.

1871წ. 4 აგვ. შეიძლაცხა სახელმწიფოთ ჩრდილოებული რეთის და გურიის საეკლესიო ქართვება, რიცხვით ნაცვლად დაადგინეს ეძღვით სამღვდელოებისათვის წლიურათ 28,886 მ. იმერეთში და 1,114 მ. გურიაში ყველა ეს საეკლესიო ქართვება: მიწები დახლოვებით 539,649 $\frac{1}{2}$  დესიტრინა, დუქნები, აბანოები, სახლები, ბაღები და სხ. და სხ. შეფასებულია სულ მცირედ 683,031,250 მანეთად (\*\*). ამის ნაცვლად სინოდი და ხაზინა იძლევა წელიწადში 106 ათას მანეთ (ქართლ-კახეთში 76 ათასი, იმერეთში 28,886 მ. და გურიაში 1114 მ.), ასე რომ თვითეულ დესიტრინას მოდის წელიწადში 19 კაპ. დღეს იჯარის ფასი უდრის დესიტრინაზე 30 მანეთს და მაშასადამე ეხლა საქართველოს ეკლესიას და მის სამღვდელოებას შეეძლო მიეღო ყოველწლიურად 16,189,485 მ. და ეს მარტო მიწის ღალიდან და ამის ნაცვლად, როგორც ვთქვით, იძლევიან 106 ათას მანეთს, 30 მანეთის მაგიერ, რომ 10 მანეთად გაიცეს დესიტრინა მიწა და დანარჩენი ჩამორთმეული ქონება, როგორც მაღნები, სახლები, დუქნები, ბაღები და სხ. გაიცეს დღევანდელ ფასობაზედ იმ შემთხვევაშიც სულ მცირე რომ ვიანგარიშოთ მაინც შემოვა ყოველ წლიურათ 10 მილიონი მანეთი. ამნაირათ, სინოდი ხარჯავს საქართველოს ეკლესიის შესანახათ ყოველ წლიურად 809,808 მ. და 48 კ. (\*\*\*) და ამავე დროს შემოდის იმავე ეკლესიის ჩამორთმეულ მამულებიდან და ნაღდ თანხიდინ სულ მცირედ რომ გვთქვათ, ათი მილიონი მანეთი

\*\*) др. о. Зоо. Имѣнія грузинской церкви,  
отобранныя правительствомъ. Вѣст. груз. юз. за  
1905 г. № 21—22 стр. 30—33

\*\*\* ) როგორც ზევით გსთვევით წმიდა ქართულ  
სამრევლოებს შეიძლება ნედეს დაახლოებით 400 ათასი  
მანეთი ამ თანხიდან და მაშასადამე ეს თანხა შეიძლე-  
ბა ჩავთვალოთ სინოდის მიერ გაწეულ ხარჯათ საქარ-  
თველოს ეკლესიის შესანახად ყოველ წლიურად. მაგ-  
რამ ზემო ნახსენები თანხაც რომ ჩავთვალოთ ჩვენი  
ეკლესიის წლიურ შესანახ ხარჯათ, მაშინაც, როგორც  
დაინახავს მკითხველი, მეტის-მეტი დიდი განსხვავებაა  
ზემოსახავალთან.

၁၃၈၉

და ამოღენა ფული იმის ნაცვლად, რომ ჩვენს ეკლესიას და სამღვდელოებას ხმარდებოდეს შედის სახელმწიფო ხაზინაში, რომ აქედად გადვიდეს რესევტის ათასნაირ სასულიერო და სახორციელო მიღრძნილ „დენერლების“ უძირო ჯიბებში, და ყოველივე ამის შემდეგ ნუ თუ შეიძლება ითვას, რომ სინოდი „სამადლოთ“ გვიბეჭდის საეკლესიო წიგნებსო?!

(სხვა რომ არა იყოს რა, იმ წიგნებს ხომ ყილიან და ტუვილად არ არიგებან? მაშინადაც უ უწინოდი უბრალო გამომჯემლის როლს ასრულებს). დაუბრუნეთ მ. ოქტომბერლიშვილი ყველა ეს ქონება საქართველოს ეკლესიას, ან და მიეცით ის 10 მილიონი მანეტი, რომელიც სულ მცირედ მაინც შემოვა ამ მამულებიდან წლიურად და მაშინ, დამერწმუნეთ, ეს სამღვდელოება იმდენს დაგიბეჭდისთ საეკლესიო წიგნებს, რომ ვაგონებითაც კი ვერ გაზიდოთ და ეხლა „კურთხევანსც“ ვერსად იშოვით გასასყიდათ და ესც „სამადლოთა“ შეიძლება. მიეცით საქართველოს სამღვდელოებას მისი და მერე ნახავთ თუ ვისმეს დამადლებითს რამე.

შლ სეგერ. პეტერი.

## კოიტიკული შენიშვნები.

(დუტუ შეგრების მოთხოვანი და დექემბერი, 1910წ.)

### VII.

(დასარული \*).

აგასული საუკუნის 70 და 80-იანი წლების ქართული ლიტერატურის ნიადაგი იყო ჩვენში გლეხ-კაცობა, სოფლის მუშა ხალხი, რომელიც შეიქნა ჩვენი ახალი ლიტიკის, პუბლიცისტიკის და სიტყვა-კაზმულის მწერლობის უმთავრესი, უმნიშვნელოვან ესი საგანი და რომელიც ჩვენ ვრცლად გვაქვს გარევეულით ჩვენს წინანდელს და კრიტიკულს წირილებში, სახელით, „ქართული ლიტერატურის მდგომარეობა“ და „ქართველი გლეხის შეკრიბისადან და მას შემდეგ და შემდეგ იგი ცხოვრება გაზიარდა, გაცოცხლდა, ახმაურდა და მოურიდებლად ამოილო ხმა და გამოსთვევა სრულიად ახალი სიტყვები და სურვილები.

დუტუ მეგრელი ეკუთვნის შემთხვევაში წლები ბის ქართველ მოღვესეთა და მრავალი მას შემთხვევაში წლები რალთა ჯგუფს, რომელმაც თვისი სიტყვა უკვე წერმოსთვეა და აზრი თვისი საკრიტიკო გაარკვია.

80 იან წლებში ეკონომიკურმა ცხოვრებამ დიადი და ფრიად ნაყოფიერი ნაბიჯი გაუდაგა წინ თუ დიდი სამთო წარმოების — ნავთისა და შავი ქვის საქმის დ წყებით ჩვენს ქვეყანაში და 90-იან წლებში უკვე საგრძნობლად აღინიშნა სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება... როგორც ვიცით, კაპიტალიზმის განვითარება ხალხის ყოველგვარ მოქმედებაში იწვევს დიდ ცვლილებას და განსხვავებას. ყოველის უპირველესად იგი სწოდა ქართველი ხალხის ცხოვრებას და გამოიწვია მასში ახალი, გაფაციცებული, სულდაურქმელი მოძრაობა, რომელმაც გლეხ-კაცობა დასძრა და მიაწყვიტა ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ცენტრებს: ბაქოს და ჭიათურის მიღამოებს, თფილისს, ბათუმს და ფოთს...

ამ ადგილებში ამ დროს დატრიალდა, ადულდა ახალი ცხოვრება რომელიც ჯერ არ ენახა ქართველის გამოყრუებულს გონებას, ჯერ სულ წინაპირველი ძალიან სუსტად, ზარმაცად და შეუმნევლად, მაგრამ შემდეგ და შემდეგ იგი ცხოვრება გაზიარდა, გაცოცხლდა, ახმაურდა და მოურიდებლად ამოილო ხმა და გამოსთვევა სრულიად ახალი სიტყვები და სურვილები.

მან დაგმო დამყაყებული ბიუროკრატია და ცხოვრების აუტონელი პირობები, მოითხოვა განათლება და ეროვნული ავტონომია, ახალი წესწყობილება, ახალი წესები წარმოებაში, ძმურის, ერთობის შეკავშირებით ცხოვრება და ახალი პოლიტიკური ფორმების განხორციელებაც.

მაგრამ ეს უკანასკნელი აშხავი მოხდა მეოცე საუკუნეში და ამას თვისი იდეოლოგებიც აღუჩნდნენ. დადგა სხვა დრო და სხვა, ახალი ფრინჯლები ატიკეტიკლენ..

წინაპირველი ცი ჩვენში კაპიტალიზმის შამოქამდებარების სოფელიც ნივთიერად სხვანაირად

დანაწილა, გამოიწვია მასში დიფერენციალი. ეს დიფერენციალი, ან ჩვენებურად რომ ვთქვათ, ხალხის ნივთიერი, ქონებრივი დანაწილება იმაში გამოიხატა საქართველოს არებარეზე, რომ ერთი ნაწილი, ძალიან მცირე ნაწილიც თუ ღონიერდება, სიმდიდრეს და დოვლათს თან და თან იძენს, მეტოვე, უფრო გარდამცტებული ნაწილი ხალხისა უძლეურდება, დარიბდება და, ამნაირად, ერთი თუ სუქ-დება და ბედნიერდება, მეორე ნაწილი, დიდი უმრავლესობა ჩვენი ხალხისა ღატაკდება და უბედურდება.

ყმაშის გათავისუფლების შემდეგ, მოელს საქართველოში, აღმოსავლეთისკენაც და და-სავლეთისკენაც თან-და-თან აღორძინდა და გაძლიერდა მოვახშე, დიდი სარგებლის აზღა-ბი, „ნეუსტროკებით“ გაზრდილი, კაპიტალი, აღმოსავლეთს საქართველოში ეს კაპიტა-ლი სულერთიანად სომხების ხელშია, დასავ-ლეთ საქართველოში ურიებისა და ჩვენებურე-ბისაც, რომელიც ყვლეფს სოულის ტეტიებს და აქეთურს, იმერეთის «კაძახებს». ამაირი კაპიტალის პატრონი არაფრის შრაბროებელი, მრეწველი არ არის. აქ სოფლიდ ფულის ტრა-ალია უშეამდგომლოდ, ფული ფულს იჯებს წარ-მოებაში დაუბანდებლად. შრომის წარმოების წე-სი, კანონიერება აქ არავითარი არ არსებობს. მიგ-რამ ეგ მოვახშე, „ნეუსტროკებით“ გაზრდილი კაპიტალი, თვისი ტრიალის დროს, როდესაც იღიარიბებს ერთს, ამდიდრებს მეორეს, სწორებ ამავე დროს ამზადებს ნიადაგს, რომელზედაც შესაძლებელი ხდება წარმოების აღორძინება და აყვავება...

ჩვენში სოფლიდ ყოველგან მოელს საქართველოში ჯერ კადევ მეტად ძლიერია და მე-ფობს მოვახშე კაპიტალი, მაგრამ დიდ ქალა-ქებასა და აქა-იქ სამთო სამრეწველო ცენტრებ-ში უკვე იჩინა თავი საწარმოვო კაპიტალმა, რომელმაც გამოადვიდა ჩვენი ხალხი, დასძრი-იგი ძეგლებურ ადგილებიდან და დაბადა მას-ში წასელა წამოსვლის სურვილები, გააღვიძა ახალი მოთხოვნილება, ახალი ინტერესები. ამ

მოძრაობაში იზრდება კულტურული გერმანიული ხელობა და ურთულდება მას ცალკევება. ეს უკანასკნელი კი იწვევს მასში მეტ ენერ-გიას, გააღმასებულს, მღვიძარე სულიცხლეს და მოძრაობას, რომელიც წარმატების, ახალი ცხოვრების მომასწვევებელია და რომელიც ფკვნის მრეწველობის და ოლებ-მიცემობის ახალს საძირკველს.

მაგრამ ევროპიელი ზავოდების და ფაბრი-კების სახსენებელი ჩვენში ჯერ კიდევ სანატრე-ლი გამხდარა და მთელი ჩვენი ერის დიდი უბედურებაც სწორედ ამაშია, რომ ამისთანა ზავოდებსა და ფაბრიკებს ჩვენი ძველი მოკ-ლებულია.

ი, ცხოვრების ასეთმა ახალმა ისტორი-ულმა ვ-თარებამ გამოაფხიზო 90-იან წლებ-ში საქართველო, აამოძრავა ქართველი საზო-გადოება, ქართული მწერლობა. ამ ხანებზი იყო, რომ ფილოქ ერა მოედვა დასავლეთ სა-ქართველოს ვენახებს, განცდა დიდი ხოლერო-ბისაც და რუსეთს თავზე დაატყდა დიდი შიმშილობა და კრიზისი, რამაც გამოაფხიზ-ლა მთელი რუსეთის ინტელიგენცია, მწერლო-ბა და საზოგადოება. ამ გარემოებამ, მიუკილე-ბლად, დიდი ზელ-მოქმედება და გავლენა იქთ-ნია ჩვენს ხალხსა და საზოგადოებაზედაც და შამოვიდა ახალი, მჩქეფარე ნაგადული ქარ-თულს ინტელიგენციასა და მწერლობაში. ამ ახალ საიმედო მოძრაობაში თვალსაჩინო აქტი-ური მონაწილეობა მიიღეს ინტელიგენცია-პროლეტარებმა და სტუდენტობამაც, რომლის წრიდან გამოვიდა დუტუ მეგრელი, ეგ. ნინო-შვილი, შ. არაგვის პირელი, დ. კლდიაშვილი და სხ.

დუტუ მეგრელიც სწორედ ისე, როგორც ეგ. ნინოშვილი თანაგრძობით და დიდი საყ-ვარულით უტრალებს ჩვენი სოფლელი ხალ-ხის გაყვალეფილებას, დაჩაგრულებას, გაღარი-ბებულებას, რომელნიც სოფლის ექსპლუატა-ციის მსხვერპლი გამხდარან და რომელთა იდე-ოლები მანქ კერძო საკუთრების საზღვრებს ვერ განშორებიან და წვრილ ბურჟუაზიულ ინ-ტერესებს ვერ გასცილებიან... ხომლელი.

ՆՈՅՅՅԵ

თქმული გელათში წირვაზე 8 სეპტემბერს  
1911 წელს არქიმანდრიტი ნესტორის  
მიერ.

— სახელითა მაშისათა და ძისათა და სული-  
სა წმინდისათა.

ლღეს, d. ქ., ჩვენ ვდესასწაულობა ყ.-დ  
წმ. ღვთის მშობლის ქალწულ მარიამის შო-  
ბას.

როცა მოახლოებდა დრო მაცხოვრის გან-  
ხორციელებისა, მაშინ იუდელებთ შორის  
ცხოვრებდა ღვთის მოშიში, მოხუცებული  
კოლქმარი, მართალნი ითაკიმე და ანნა. ი-  
აკიმე იყო წარმომდგარი იუდას ტოშისაგან,  
ხოლო ანნა ლევის ტოშისაგან. ისინი ღრმა  
მოხუცებულნი იყვნენ და შეილი არ ჰყავდათ,  
ხოლო იმ დროს უშვილო კაცი მისჩნდათ ცო-  
დვილად და ეს იყო მათი გულის წუხილი, ეს  
უწყლავდა მათ გულს, რომ მართალნი იყვნენ  
წინაშე ღვთისა და საზოგადოების თვალში გა-  
მოდიოდნენ ცოდვილებად. ამის გამო დიდი  
მწუხარება გამოსცადეს ითაკიმე და ანნამ თა-  
ვის სიცოცხლეში. ერთხელ მოხუცი ითაკიმე  
თავის მოსამსახურებიანად ერთ დღესასწაულის  
დროს წავიდა იერუსალიმში, რომ ჩვეულები-  
სამებრ ღვთისთვის მსხვერპლი შეეწირა და  
ელოცა ტაძარში ღმერთი. მაშინდელმა ური-  
ების მღვდელთ-მთავარმა ისსახარმა უარპყო  
მისი მიტინილი მსხვერპლი და ყველრებით  
უთხრა მას, რომ უშვილოს მსხვერპლი არ  
არის ღვთისათვის საამო... უა რომ ალბად  
რაიმე ფარული ცოდვისთვის სჯის მას ღმერ-  
თი უშვილოებით.—იქვე მდგომა ებრაელმა  
კიდევ ყველრებით უთხრა მას: რას მიეჩირები  
ჩემზე წინ მსხვერპლის შესაწირავად? განა შენ  
არ იცი, რომ არა ხარ ღირსი სხვებთან ერთად  
შესწირო მსხვერპლი, ამიტომ რომ არ სტო-  
ვებ შენ შთამამავლობას ხალხში. დაწუხარე-  
ბული, გულმოკლული, მძიმედ დაღონებული  
გამოვიდა ტაძრიდგან უდანაშაულო მოხუცი

იოაკიმე, მისთვის თვითონ დღესასწაულობრივ  
დაკარგა სიხარული, მას არაფერობი არ ჟილოდა  
და. შინ დბრუნებისაც არ ეუპნებოდა გული,  
ის წავიდა უდაბნოში და იქ, კაცოაგან გან-  
შორებული, მიეთხო სულით და გულით  
ლმერთს და მხურვალე ცრემლით ევედრებო-  
და მას დაქხსნა იგი უშვილოების ცველები-  
საგან. გულ წრფელმა და მხურვალე ლოცვამ  
განამტკიცა იგი, განამხნევა, ყოველივე ყველ-  
რება კაცოაგან და მწერალება მოამენინა და  
ერთი გმობაც არ წამოცდენია მას პირისაგან.  
იოაკიმეს ამბავი გაიგო ანნაშ, ისიც შეწუხდა,  
გული უკვდებოდა თავის სახლში მარტო  
შეიმფს, მაგრამ ისიც მტკიცედ ითმენდა ამ  
მწერალებას და მხურვალე ცრემლით ევედრე-  
ბოდა ლმერთს და სთხოვდა შეწყალებას. ერთ-  
ხელ ის იჯდა თავის ბალში და იყო მწერალე  
შავ-ბნელ ფიქრებზი გართული. უცბად დაი-  
ნახა ხეზე ჩიტის ბუდე და შიგ უდურტულა  
ბარტყები. გული შეულონდა და მწერალებით  
წარმოსთქვა: „ვის ვგევარ მე? არც ფრინველ-  
თა ცისათა, არც მხეცთა ველისათა. ყველანი  
შვილებით ნუგეშობენ... მიწა, იგიც კი აღმო-  
აცენებს და ზრდის თესლს, რომელსაც მოაქვს  
ნაყოფი. მე, მხოლოდ მე ვარ უნაყოფო, უშ-  
ვილო ქვეყანაზე... უფალო, ლმერთო ჩემი!  
შენ მიანიჭე სარჩას ლრმა მოხუცებულებაში  
ძე ისააკი, შენ მიანიჭე ანნას ძე წინასწარმეტ-  
ყველი სამოელი; შეისმინე აწ ვედრება ჩემი-  
ცა! შენ იცი, უფალო, ხალხი, როგორ მაყვე-  
დრის უშვილოებას. თვით შენ განკურნე უძ-  
ლურება ჩემი და უნაყოფო ესე გამომაჩინე  
ნაყოფიერად, რომ შობილი ყრმა ჩვენი შენ-  
ვე ძლვნად შამოგწირო, უფალო, და ვაკურთ-  
ხო მოწყალება შენი“. გაათავა თუ არა ეს  
ლოცვა, მან დაინახა მს წინ ანგელოსი უფა-  
ლისა, რომელმანც უთხრა მას: „ანნა, ანნა,  
ლმერთმა შეისმინა ლოცვა შენი, შენმა ცრემ-  
ლებმა და შენმა გოლებამ მიაღწიეს ლვითისად-  
მი, შენ შეიქმნები დედად კურთხეულისა ასუ-  
ლისა, რომლისაგან მიიღებენ კურთხევას ყო-  
ველნი ტომნი ქვეყანისანი, რ მლისა მიერ  
მთელ ქვეყანას მოელის სსნა ცოდვათაგან.

უწოდე მას სახელი მარიამ. იმავე დროს გა-  
მოეცადა ანგლოსი იოაკიმესაც უდაბნოში, სადაც მან დაყო 40 დღე და ლამე ლოცვით  
და მარხვით და უთხრა მას: „უფალმა შეისმინა  
ლოცვა შენი, ცოლი შენი ანნა შობს ასულს  
და მის შობისა გამო განიხილებს მთელი ქვე-  
ყანა“. მართლაც ცხრა თვის შემდგომ იოაკი-  
მეს და ანნას ეყოლათ ასული, რომელიაც  
დაარქვეს სახელად მარიამი. ყოვლად წმიდა  
ქალწული მარიამი შეიქმნა დედიდ ლვთისა,  
მისგან განხორციელდა, განკაცდა და იშვა ძე  
ლვთისა უფლი ჩეენი იქსო ქრისტე. ეს მოთ-  
ხობა გვაძლევს ჩეენ მშეენიერ მაგალითს, და  
გვაწავლის, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ჩეენ  
მწუხარების და გასაჭირის დროს? ვინ არის  
ქვეყანაზე ისეთი, რომ მწუხარება არ შეხვდეს,  
რაიმე არ გაუჭირდეს? ვინ არის ისეთი, რომ  
მთელი თავისი სიცოცხლე ბეღნიერად, უმწუ-  
ხაროდ გაატაროს? არავინ. მწუხარება, გა  
ჭირვება, განსაცდელი, ჭირი და უბედურება  
ყოველი ადამიანის სვედრია, ყოველი ადამია-  
ნის სტუმარია, მხოლოდ იმ განსხვავებით,  
რომ ზოგს ხშირად ეწვევა, ზოგს იშვიათად.  
როგორ უნდა მოვიქცეთ მწუხარების და უბე-  
დურების დროს? რა საშუალება უნდა ვახმა-  
როთ, რომ გავმნენ ედეთ, ვსტლიოთ მწუხარე-  
ბას? რომ მწუხარებამ არ დაგვჩაგროს? არ გა-  
გვასწოროს დედამიწასთან? ის საშეალებანი,  
როგორიც იხმარეს იოაკიმემ და ანნამ, ე. ი.  
მოთმინება და ლოცვა-ლვთის ვეძრება. მოთმი-  
ნება არის დიდი სათნოება. ლმერთი დიდ სი-  
კეთეს ანიჭებს მათ ვისაც მოთმინება აქვს,  
აღუთქაშს სულის მოპოვებას, ე. ი. ცხოვნე-  
ბას: „მოთმინებითა თქვენითა მოიპოვოთ სუ-  
ლი თქვენი“ (ლუკ. 21, 19). მოთმინება ყო-  
ველთვის კარგია, მაგრამ უფრო დიდი მაღლი  
აქვს მაშინ, როცა ჩეენ კეთილად ვსტოვრობთ,  
შეგვემთხვევა რაიმე გასაჭირი და ვითმენთ  
უზრტვინველად; ამაზედ მოციქული პეტრე  
იტყვის: „რა საქებელ არს უკეთუ თქვენ ცო-  
დვისათვის ისჯებოდეთ და ითმენდეთ! არამედ  
უკეთუ კეთილსა იქმოდეთ და გეგნებოდეს და  
მოითმენდეთ, ესე არს მაღლი ლვთისაგან“

(1 პეტ. 2, 20). ასეთ მოთმინების შეგარიცხუ-  
ლი წარმოგვიღების ჩეენ მრავალტანჯული იომი.  
უბედურება, ჭირი, მწუხარება უმეტეს ნაწი-  
ლად მოგვევლინება ჩეენ ცოდვებისა გამო.  
ვასილი დიდი ამბობს: ღმერთი მოგვივლენს ჩეენ  
გასაჭირს, იმიტომ რომ ჩეენ განვეშორენით  
ღმერთს და ამით ღმერთს სურს ჩეენი ვასწო-  
რება. გრიგოლ ლვთის მეტყველი ამბობს:  
ღმერთი მოგვივლენს გასაჭირს, იმიტომ რომ  
ვაცოდეთ, ვიუსჯულოეთ და სიცრუე ვყავთ,  
იოანე ოქროპირი იტყვის: „სასჯელი ლვთისა  
მიერ მოელინებული იგივე არს, რაც ვგაღმყო-  
ფისთვის ექიმის მიერ დანიშნული წამალი.  
ვგაღმყოფს ხშირად კურნავს მწარე წამალი,  
ეგრეთვე ცოდვილს კურნავს ლვთისა მიერ მო-  
ვლენილი გასაჭირი“. ხშირად მართალნიც ვარ-  
დებიან გასაჭირში. ეს რასთვის ხდება? ამ გა-  
რემოებას წმიდანი მამანი განმარტავენ ამ გვა-  
რდა: 1-დ ღმერთს სურს ამით უფრო განამტკი-  
ცოს მათ შორის და აღამაღლოს ზნეობრივი  
ლირსება მათი, 2-დ, არა არს კაცი, რომელი  
სცხოვნდეს და არა სცოდოს. კ. დ უცოდვე-  
ლია მხოლოდ ღმერთი. შეიძლება კაცი კე-  
თილ მსახური, მართალი იყოს, მაგრამ ვასა-  
ჭირი შეხვდეს მას რომელიმე მის მიერ წინეთ  
ჩადენილ ცოდვისა გამო. აი ამისი მაგალითი:  
იყო ერთი წმიდა ლვთის კაცი სიმეონი, მას  
ჰყავდა მეგობარი კეთილმსახური და ლვთის  
მოშიში მთავარ დიაკონი იოანე. ერთხელ მას  
შეემთხვა შემდგომი უმედურება: იმ ქალაქში, სა-  
დაც ის კხოვრებდა დამე ავაზაკებმა მოკლეს  
ერთი კაცი, მკვდარი მიუგდეს იოანეს და  
მკვლელები მიიმარნენ. დიღას იოანეს ეზოში  
მკვდარი ისოვეს. ქალაქში ხმა გაერცელდა,  
რომ იოანემ კაცი მოკლაო, ხოლო მსაჯუ-  
ლებმა იოანეს ჩამოხრიბობა გადუშვიტეს; ეს  
ამბავი სიმეონმა გაიგო და მხურვალედ შეე-  
ვედრა ღმერთს, რომ მას გამოეხსნა იოანე ამ  
საფრხისაგან. მართლის ლოცვა შეისმინა უფალ-  
მა და ორი თუ სამი წამი აკლდა იოანეს ჩა-  
მოხრიბას, რომ კაცის მკვლელი აღმოაჩი-  
ნეს და იოანე განათავისუფლეს. ის მაშინვე  
სიმეონთან მივიდა, რომელიც კიდევ ღმერთს

ევედრებოდა როცა სიმეონმა ლოცვა გაათავა, მიუბრუნდა ითანეს და უთხრა: ცოტაზე გადარჩი სიკვდილს, წალი და მადლობა შესწირე ღმერთს, მაგრამ ჯერ ჩემი მოისმინე: შენ გვონია, რომ ტყულად მოგველინა ეს განსაკლელი? არა, მართალია, შენ ის კაცი არ მოგიკლავს, მაგრამ შენ გახსოვს, რომ სამოწყვალო არ მიყცი იმ ორ მათხვარს, რომელნიც ამას წინედ მოვიდნენ შენთან.“ ი წინანდელ ცოდვისათვის მოგვლინა ითანეს ეს განსაკლელი. ამიტომ როცა ჩვენ მართალი გვვინია ჩვენი თავი და მოგველინება გასაჭირო რამ, არ უნდა ვგმოთ ღმერთი, არ უნდა ვსთქვათ: ღმერთო რა შეგცოდე, რა დავაშავე, რისთვის მტანჯავ და სხ. ამგვარი, არამედ უნდა მოგითმინოთ, მხურვალედ შევევედროთ, მადლობა შევსწიროთ ღმერთს, რადგანაც ღმერთი უსამართლოდ არაფერს მოგვივლენს. და როცა უდრტვინველად აფიტანთ, მოვითმენთ გასაჭირს, და მხურვალე ლოცვით ესთხოვთ გასაჭირისგან გამოხსნას. მაშინ ღმერთი გვიხსნის გასაჭირისაგან, შეგვიმსუბურებს ჩვენ მწუხარებას. დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „ხმა ჰყო მართალმან და უფალმან ისმინა მისი და ყოველთა ჭირთა მისთაგან ისნა იგი“. (ფს. 33, 18) ჩვენც, ძ. ქ., ვევედროთ ყ.-დ წმ. ღვთის მშობელს და ძესა მისსა, უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს, რომ გვიხსნას ყოველ ჭირისა, რისხვისა და იწროებისაგან და მოგვანიჭოს მშვიდობა, მყუდროება, მოთმინება და სიყვარული ღვთისა და კაცა. ამინ.

არქიმანდრიოტი ნეტორ.

Laudans eum opera ejus.

„საქმენი მისნი ადიდებდენ მას.“

პატივცემულო მსმენელო!

საზოგადოთ რომელიმე გერძა სამწესარო შემთხვევა დაადონებს მათ, ვინც თანამოზიარენი იყენენ იმ გერძა შირის სისაულში. გეალად არის სიმწერე რომელიც მხოლოდ ერთ ფაზებისა ან

გერძა საზოგადოების დაადონებს, დაისაუზარებს, მაგრა რამ დღეს მღვდელ მისები თამარ შემდებრი გვდევალების ამბავმა თავზეა დასცა ჩვენს წარჩინებულ საზოგადოებას, უმეტეს ძმათ, ვისაც მისი ასალი გენისტური ისტორიული თხზულებას წაუკითხათ. რეგისტრის ენერგიის ადამიანის სახელი უნდა უწიდეთ განსცენებულს.

ასეთი სახელი მან დაიშასხურა თავისი შიროენული შრომით, შევდღებული მსნეობით და შედგინებითი ხასიათის სიმტკიცით, თავისი მრგვალობით, განსაღებით და სიდარბასფლით.

ძველით განთქმული საქართველოს მხარე სამ. ცხე სათამეგომ, ევთოშე და გიორგი მთაწმინდების, შოთა რუსთავლის და სარგის-თმობგელის, უკარევარე და ივანე მსრობლის, სამშობლომ კადეგ აღმოგვიხინა თავისი გულმრელდაღან ნაშობი დაღსულოვანი შვილი მიხეილ თამარ შვილი, სისარეული და დიდება ახალციხისა.

იმ ღრმას, როდესაც ეს მდიდრი მხარე საქართველოს იუთ აბუბად აგდებული უცხოელთ მოსულო მეზობელ სალხათაგნი, სწორეთ მაშინ დაიბადა ქ. ახალციხეს მისეილ თამარ შვილი 1859 წელს.

მის მამას ერქევა შეტრე, დედას გაიანე, ეს პატიოსანი პირი პატიოსნერად შრომიბდნენ დღით დღე, რომ გამოკეყებათ და ადეზარდათ თავინთი სუთი შვილი: სამი ვაჟი და ორი ქალი. მამა, მისეილის იუთ აქრომჭედელი, (უკანი). მაგრამ ამ ღრმას ამ ხელობას ადარ ჰქონდა ბეზარი და დიდ სიმწერე ტანჯვას განიცდიდნენ მშობლები თავიანთ შვილების ლუქმა შეტის შეკინისათვის.

ჩვენ მისეალის პატარობისას უძახდნენ ალექსანდრეს, (ვიდრე მღვდელი გახდებოდა ეს სახელი შეინახენა, მშობლები მღვდელობისა კი გამოიცვალა და დაირქვა მისეილი, რომელს სახელით ჩვენ განსხვავდოთ.) ბაშობიდანვე რაცხა არ ჩვეულებრი ნიშნები ეტეკბოდა მისეილს. გულმოღვინე აღმასრულებელი იუთ უკველი სურვილისა თავისი მშობლებისა და უფროს მებისა.

მისი მშობლები იმონას დარიბ ღატანი იყენენ, რომ ისიც გერ შეეძლოთ თავიანთ შვილისათვის მიეცათ შესაფერი შირველი ღატუებითი სწავლა. წერა-გიორგა, მას დაწევებინა მღვდელმა.

ითხებ ხუციშვილმა (გოდებაძემ). შემდეგში მდგრად იყანებ გვარამაძესთან მიღებანეს, ათის წლის იქნებოდა რომ ისალცისის საკუთხესით სასწავლებელში მიაბარეს, სდაც ჭერ კიდევ ძროხის წიაზედ დაწერას ასწავლიდნენ, რადგან ქადაღი მიათვაის მნელი და ძვირი მოსამუჯებელი იყო. მისებილმა დიდი ბეჭითობა კამოიჩინა. მაც შეიძინა ის რასაც მას ასწავლიდნენ. ზედ დაუმატა რა სომხურის შესწავლაც, მაგრამ მშობლებმა მავა სწავლას თავი დახეხებინენ. 14 წლის ბავშვი ერთ სარაზ მეწადე მეტ უსტეს მასცეს, რომ ეს ხელობა შეესწავლა და დარიბ მშობლებს დახმიარებოდა. ასე მას შეოლიდნ ჭრ ისარგებლა, მდავს ახერხებდა წერა კათხას.

მისებილმა დიდი მეცნიერობა კამოიჩინა და ერთ წელიწადს შეისწავლა მეწალ-მეჩუსტობა და ამითი დაიწერ მცირე გროვ შების შემოტკინა და ხუგების ცემა თავისი მშობლებისა.

მას არ უვარდა სსექტისაფით შეუსაბამო დაპარაკე თავისუფალ დროს აღდებდა ძეველებულ წიგნებს და კითხულობდა. მაშინ კარამანინის და კისრამანინის წიგნების კითხვა გავრცელებული იყო.

იგი გრძნებდა თავის თავს საწავლად, სწავლიდნ მოვალებულად, და იტანჯებოდა უმეტეს იმიზედ, რომ უსახსრობის კამიისოთ უნდა შესჩვეოდა ახალციხურ დაჩაგრულ და უმეტა დაბეჭავებულ ცხოვრებას.

მისებილი კახდა რა 22 წლისა, დაუსწოდებდ მდგრედ მამა გვარამაძეს, შეჩინება თავისი სიმწესარე და განუზიარა თავისი სურვილი, რომ მას სურდა როგორმე დაქმიალობებია სულის მოთხოვნილებანი. სწორეთ ამ სანებში სტამბოლიდან ახალციხის მოვალე ამბავი, რომ ცნობილი შეტრე სარისტოაშვილს სურს რამდენიმე ქართველი ახალგაზდა კამთხარდოს ქ. ქონსტანტინეპოლიში, თუმცა მისებილი შედარებით სხევებისა დიდი იყო, მაგრამ მდგრედ გვარამაძეს და განსკენებული პატრი აღფონესის შეამდგრომლობით, მამა სარისტოაშვილმა მიიღო იგი თავის სასწავლებელში. 1879 წ. მისებილი კაეშერა სტამბოლს. მხერებადე და ბეჭითობ მოვალე სწავლას სეზი, დაიწერ ფრნგულის, დათინურის და ბერძნულის შესწავლა. აქც შესფერო დრო არა ჰქონდა, რომ კანონიერდ გას

ნეგრძლე სწავლა. ის მიმალებით იმ ერთგან ცხვენები დროს აკარგი ინტენსივური იყო კანონების შესწავლა, რაის გაერიდა მეწად მეზესტობა და ზურგ-მხრით ქვა-ტალანის ზოდება. საც კადრული დაბადება მისთვის, რომ იცოდა მცვილეობა დრო, რომლითაც იგი ისარგებლებდა და მიაღწიებდა თავის შიზანს.

ამ დროს შეტრე სარი ჭირაშვილმა მოისურვა რამდენიმე ახალგვარდა შირნი გაეგზავნა დასავალეო კვრიაში სწავლის და გამოცდილების მისადებად. ჩვენი მისებილ თამარშვილი მოჰკვა ამ ახალგვაზდათ აიცეკში, მის სისარულს ზომა არა ჰქონდა. გაემგზავნენ ისპანიაში პატრი ეჭსანოვის თანასლებით მიგიდნენ ისპანიაში მაღრიდის ერთ სასულიერო სასწავლებელში, დაიწერ სწავლა წესიერად და საფუძვლიანათ ფრანგული, ლათინური და ისპანიური ენისა. განსკენებულ შეტრე სარისტირშვილმა მისთვის მოისურვა რომ რადგან ისპანიელი თავიანთ თავს უწოდებენ ქველ იბერიათ (საქართველოს) კალანად, ამისათვის გადაწევიტა რომ საქართველოს შეილებს მიეღოთ დასავალეო კვრიაში კვრიაში ეჭსანოვის გაფაქიზებული კულტურა და ქართველი ზნებეგულებანი.

მისებილი თანამსანაგებით ისპანიაში მხოლოდ წელიწად ნასევარი დარჩა.

შემდეგში დაპრენდა სტამბოლის, სადაც 1885 წ. მდგრადა ეჭვრთხა.

შემდეგი იქნება.

## ბერის დღიურიდან.

ს ი უ მ ა წ ვ ი ლ ე.

სიყმაწვილე ცხოვრების ოქროს ხანაა და აღამიანის მთელი სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნიადაგია, რომლის დროის შთანერგული სიბრძნე და ზნეობა თანამავალ ექმნებიან აღამიანის ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა. სიყმაწვილე შესავალი კარია ცხოვრების დღი ქალაქისა, საღაც შემოქმედის ხელით ქმნულთა საკვირველებანი, საფერო სულიერ სიმდიდრისა, გამოფენილ არიან ყოველთა ხეხილვე-

ლად. გული ყმაწვილისა ეტრფის ამ სიმღიდ-  
რეს და გულისხმისყოფით იუნჯებს მეცნიერე-  
ბისა ღვთის ქმნულებისა და ზნეობრივ განა-  
თლებას.

სიყმაწვილე ენერგიით სავსე ხომალდია  
ცხოვრების ჰდვაში შესული, რომელსაც უსაზ-  
ღვროდ სწყურიან მსოფლიო ზღვის ტალღები  
გააპოს და ნაკთხაუდელნი სამშვიდობოდ მოგ-  
ზაურისა განსაკუთრებელ ჰყოს.

ყმაწვილობის დრო გონიერად მოხმარებული  
ჟაბუქისათვის მაღალ აზრებში ფრენა და, ვით  
არწივი, მთელ დედამიწას დაყურებს თვალ-მა-  
ხეილოვანი გულის ხმის ყოფით და აღტაცე-  
ბით მოელის და იღვწის როგორც საპირადო,  
აგრეთვე ხერთო ბეჭდიერებისათვის.

ყმაწვილის გული ჯერ განუხორციელე-  
ბელ აზრებით ოცნებობს. ამისთვის წასული  
ისტორია და გამოცდილება კაცობრიობისა სა-  
უკეთესო სასწავლებელია მისთვის. მართალია  
ბუნებას სინორჩე უყვარს და გაზაფხულის ახალ  
უყვარილებს ეტრფის, მაგრამ თვის შორის მომქ-  
ევი წარსულ შემოდგომა და ზამთრით ტრი-  
ალებს. თანახმად ამისა კაცობრიობის სიბრძნე-  
ცა ასე გვმოძღვრის: „კითხე მამათა შენთა და  
გაუწყონ შენ და მოხუცებულთა გითხრან  
შენ“.

ჯერ დაუმწიფებელ ყმაწვილთა გულში  
ცვალებადობა ერთი უმთაერესი ნაკლია. ასე-  
თება მსწრაფლ მისღრუებიან ერთის არჩევნი-  
საგან მეორეში. მეორედან მესამეში, ასე რომ  
ერთი ნიადაგი მათთვის არ არსებობს.

მსუბუქ მოაზრეს ხან დმერთი წამს, ხან  
ეშმაკი, ხან კეთილი, ხან ბორტი, ხან მოყ-  
ვასთათვის სწირავს ვითოშ თავს და ხან ვისი  
მოყვასი, ვისი სამშობლო, არამედ მხოლოდ  
კუჭი და ნებათა მიღვნებით გარყვნილება.

ყმაწვილის გული სრულიად უნდა ეკუთვ-  
ნოდეს მხოლოდ სწავლა განათლებას. ხორცი-  
ელ გულის თქმათა არ ჰქონდეს მის გულში  
გავლენა, თორუ თუ ერთხელ ხორციელ ვნე-  
ბათა ღლვაში ჩავარდა და იგი ჩვეულებად  
განემტკიცა მის შორის, შემდეგ შეუძლებელია

მისი წინსვლა და მხოლოდ ბოროტების მდგრადი  
მედ გახდება მისი გული.

როგორც მჩის ნათელ-შარავანდედს და-  
ფარავს ღრუბლები, ეგრეთ სწავლის ნათელ  
მხეობას ბნელჭყოფს ხორციელი ვნებული ოვი-  
სებები და ძალაუნებურად განაშორებს ნიჭი  
განმადიდრებელ ქვეყნის მნათობ სიბრძნისა-  
გან.

ყმაწვილის გული გრძნობების სახმილია  
და ეს გრძნობები გონიერების ნიჭით ზნეო-  
ბრივად თუ აღეტყინა, ღმერთ-კაცად აღზრდის  
მას და თუ გულის სამხილის გრძნობები ხორ-  
ციელ გულისთვის აღეტყინა, მაშინ პირ-  
უტყვთა თანა გაათანასწორებს მას და გაამხე-  
ცებს ველურ თვისებით.

ნება ყმაწვილისა ანდამანტია და მსწრაფლ  
მიიკრავს ხორციელ ვნებითი გემოვნებას და  
მას შინა შთაღუპავს მის მომავალ მაღალსუ-  
ლოვნების იდეალს, თუ არ წინააღუდგა საც-  
ოტურებს და მამაცურად არ დამოეკიდა მის წინ  
მდებარე სწავლა-განათლების უძვირფასეს შვე-  
ნიერებას.

ნეტარ არს ის ყმაწვილი, რომელმაც უყუ-  
რადღებოდ დასტოვა და უკუ აგდო მისი მიზ-  
ნის მავნებელნი და გულის აღმაშეოთხებელნი  
საცოტურებანი და სული და გული მიაკუთვნა  
მხოლოდ სწავლა-განათლებას საღმრთო მხედ-  
ველობით და ზნეობრივ ნათელ-მოსილ ცხოვ-  
რებით და ესრეთ სწავლა დამთავრებული მო-  
ევლინება მნათობად თვისი სამშობლოს.

შენ უფალო აკურთხე გულნი ყმაწვილ-  
თანი ტაძრად შენისა მაღლისა, მუშავად სათ-  
ნოებისა, საყვარელ ძედ სამშობლოსა, ლამპ-  
რად სწავლა-განათლებისა და გვირგვინად მშო-  
ბელთა თვისთა ამინ.

### სწავლა-განათლება.

მეცნიერება ღვთის სიბრძნეა, ხოლო გა-  
ნათლება საღმრთო ბუნება, რომლის არსები-  
თი მნიშვნელობა ნათლის მფენაობაა, რომ-  
ლის დისკოში არა კურძო ერთ-მხარე შესწავ-

ლა შეიცავს განათლების სიღიადეს, არამედ მას შინა კ. ლ მხრივ აღვხებითი განხილვანი მოეთხოვებიან განათლების სიღიადით გამსჭვალულ მეცნიერს.

არიან მეცნიერნი ცალმხრივნი, რომელთა შეისწავლეს მხოლოდ სტიხიოთა ძალები რაოდენად მაინც, მაგრამ თავის სულიერ ძალების შემცენებაში დიდ ნაკლულევანებას იჩენენ. ამისთვის იგინი ცალი თვალით ვლენან და ვკრ ხელვენ სისწორით და სისრულით სწავლა-მეცნიერების ასტერის გვამს, რამეთუ სამოსელსა ებლაუჭებიან და შინაგანის კაცისა აღსავალი ვერ ცნეს. სწავლული, რომელიც ზეობრივად სულიერ სიმაღლეს, სიმართლეს, გულმშვიდობას, კაცთ-მოყვარებას, მოწყალებას, სიწმიდეს არ აქცევს ყურადღებას, მას ცაუფვლია მისი მეცნიერება მწვირეში და რა ვსთქვათ, ნუ თუ გმობა არ იქნება და ცრუფარისევლად არ გამოვჩდებით ჭრების წინაშე, რომ ასეთ სწავლულთა უწოდოთ განათლებული?

კაცი, როგორც თავისუფალი არსება, შორის სწავლა მეცნიერებისა და შორის განათლების განხორციელებისა, მნებლობას უთმობს ადგილს. ხოლო განათლების მოთხოვნილების ზეობრივად განხორციელებას სჭირია: „უარ ყავ თავი თვისი, აღიღენ ჯვარი თვისი“. თავის უარყოფა და ჯვრის აღება მრავალთათვის საძნელო შეიქმნა. და უარყვეს, რაც მათ მიერ შემცნებულ განათლების წინ ისეთი მოქმედებაა, როგორიც მზიან დღის წინ თვალის დახუჭვა.

ვერც სწავლა-მეცნიერება, ვერც ლეთის მეტყველება, ვერც ხელმწიფობა და ვერც პატრიარქობა კაცის ზეობრივ სულიერ განათლებას თავით თვისით ვერ შეადგენს. თუ ადამიანმა თავის მნებლობით არ შეათანხმა წოდების დაგვარ სულიერი ძალები. მაგალითად, სწავლა დამთავრებულმა კაცმა იცის, რომ განათლებული სინიდისი ზიზღს უცხადებს სიბოროტეს და ხედავს, რომ განათლება ზეობრივ ღმერთ-კაცობაა, მაგრამ ზოგიერთმა შეის ხის ცრემლი და სისხლი დადგარა, რადგანაც ყვარა ლოთობა, არაწმიდება და ღალატ-გამ- მეფის გვირგვინი დაპირებული იყო იმისთვის,

ცემლობა და მას შინა მონა ქმნილმა და მას შეინარებითი გუნა სწავლის შედეგი განათლების მნებლობით არის სასულიერო პირებმაც იციან თავიანთი პირობა და ლირსების სახეობო განათლება, მაგრამ მრავალნი ჭურ ეშმაკისად გამოჩნდნენ ისტორიაში ბოროტ ცოვრებით, ამნარიალ, განათლება მნებლობით სუფევს და მიმდინარეობს, რომლის შეწყნარება თუ უარ ყოფა თავისუფალ აღამიანის ნებლობის საქმეა და არა თავით თვისით შედეგთა გავლენაზე დამოკიდებული სწავლა-მეცნიერება თავით თვისით ვერ განაკეთილშობილებს აღამიანს. ვისაც აფრთოვანებს განათლების მიღება და ეტრფის იმას, რომ განათლების ღვთაებრივ შარავანდედით გამოჩნდეს მნათობად მამულისა პირველად მან უნდა განვიხინოს ძლევა თავის თავზე, თავის ბოროტ თვისებების შებრძოლებით და სულიერ ძალების გამტკიციბი, სწავლა-მეცნიერება შეგრობებულად ზეობრივ აღზრდილობასთან შეიქმნა აღამიანს სასახელო და მამულის სასიქადულო განათლებულ პირობებად.

ალექსი ბერი.

## ი გ ა პ ი.

(რუსულით.)

ერთ ადგილს მოხდა საშინელი ყრილობა; მთელი ქვეყნის კუთხეებიდგან მოგროვდნენ ერთად, ეგრედ წოდებულნი, კაცობრიობის მოსისხლე მტრები: სნეულებანი, ომები, სიცივე, სიღარიბე, გარყვნილობა, ძალმომრეობა, — ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რისგანაც ხალხი ტირის, კვნესის, წვალობს, იხოცება. ამ მტრებმა დაიწყეს ერთმანეთში მეფის ამორჩვა თავიანთვის. გამოვიდნენ ბევრი ორატორები, წამოაყენეს ბევრი კანდიდატები. როგორც მთერალ მოქეთება შორის ზოგჯერ ულობენ, რომელმა უფრო მეტი ღვინო დალია, აგრეთვე აქაც დაიწყეს ცილაობა, ვინ უფრო მეტი ბოროტება მიაყენა ქვეყნას, მეტი ხალ-

ვით დამტკიცებდა, რომ ის ყველაზე მომე-  
ტებულს ვნებას აყენებს კაცობრიობას.

პირველად დაიწყეს ლაპარაკი ორმა საში-  
ნელმა სენმა—„შავხა ჭირია“ და „ხოლო  
რამ“.

„ჩვენ სადაც გავჩნდებით—იყვენილნენ  
ისინი ერთი მეორის წინ,—იქ ნამდვილი ჯო-  
ჯოხეთი ხდება; ადამიანები იხოცებიან ათასო-  
ბით, და მერე რანაირის ტანჯვა-წვალებით!“

იმათ შემდეგ გამოიდა ბოროტი ჭლეჩი,  
გაყვითლებული და გამშრალი, როგორც ქა-  
ლალდის ფურცელი. „მე,—სთქვა იმან,—არ  
ვახდენ ერთბაშად გამწყვეტ სენს, და არ ველო-  
ტავ ხალხს ისე სწრაფად, როგორც შავი ჭი-  
რი ან ხოლერა; მაგრამ სამაგიეროდ ერთგუ-  
ლი ვარ ჩემი საქმისა ყველგან და ყოველ-  
თვის; და ვინც ჩემს ხელში ჩავარდება, იმას  
ხელიდგან აღარ გავუშვებ. მე არ ვზოგავ არა-  
ვის,—არც ბავშვებს, არც დიდებს, არც მდიდ-  
რებს, არც ლარიბებს და ისე ვმალავ ჩემს მია-  
ხლოვებას, რომ ვერც კი ასწრობენ მომზა-  
დებას თავის დასაფარავად“.

შემდეგ ჭლეჩისა და მისი დებისა ციებისა,  
ფილტვების ანთებისა, სახალისა, მეფეურის  
მიხვრამოხვრით ადის კათედრაზე ერთი მრის-  
ხანე და, პირველ შეხედულობით, ლამაზი დედა-  
კაცი. ღმი, ომი—გაისმის აღმრთოვანებული  
ჩურჩული.—„აყვეს იგი მეფედ!“ პირი სახე დე-  
დაკაცისა მსწრაფლ შეიცვალა, გახდა ველური,  
საშინელი ულმობელი. „ბატონებო,—სთქვა  
ომმა,—მე მეტად ძმაყი ვარ, რომ მივეპარო  
ჩემს მსხვერპლებს ქლექის მზგავსად, ან შევ-  
ფარო ტალახს და სიღამპლეს, ხოლერის მზგავ-  
სად; მე მიყვარს თავდასხმა ცხადად და ლამა-  
ზად. ჩემი მსხვერპლები მიდიან სიკვდილზე  
მწკრივად დაწყობილები და მუსიკის კვრით.  
ჩემი ყუჩბარების სროლი ჰგავს ჩირალდანს. მე  
ვართმევ ხალხს მის საუკეთესო ნაწილს, ყვა-  
ვილს მისის ახალგაზღობისას, რომელსაც მე  
ვმოსრავ, როგორც სეტყვა რეგვავს პურის თავ-  
თავს, როგორც ქარი აფორიალებს შერის  
ძნებს. როდესაც მე გავსძვინდები, მაშინ მოელ  
ჭვეუნიერებას შიშის თავ-ზარს ვცემ“, გაისმა

ტაშის-კვრა. კრებას უნდოდა ვაეთვებინაზეც  
ჩევანი, მაგრამ ამ დროს წამოდგა ბრძოლის-  
ბა, რომელმაც თავისი ურცხვი ლაპარაკით მი-  
იპყრო ყურადღება იქ მყოფებისა. იქნია აგ-  
რეთვე შთაბეჭდილება დაგავცვალება ჩა-  
დალდის თავაზობაში. თუმცა უსიცოცხლოდ,  
მაგრამ საბუთიანად ლაპარაკობდა სიზარბაცი,  
არ დაჩუმდა შიმშილიც; აღფრთოვანებული  
სიტყვა წარმოსთქვა „ჩვეოლიშციაშ“. კრება  
გაუვებრობაში ჩავარდა, ვინ ამოერჩიათ მეფედ.  
კანდიდატები ძრიელ ბევრი იყო, და ერთი  
მეორეზე უკეთესები. გადაწყვეიტეს კენჭის-  
ყრა.

უცებ ხედავენ, კათედრისაკენ გაეშურა  
ახლად მოსული. იგი ისეთი პატარაა და სხანს  
ისე უწყინარიად, რომ ყველს უკვირს მისი აქ  
მოსცლა. კრების ზოგიერთმა წევრებმა მაინც  
იცნეს მასში თავიანთ ძველი ნაცნობი. „მე გა-  
მოგზანილი ვარ აქ, ამბობდა ორატორი,—ჩე-  
მის პატრიონილებან. თითონ ის ისეა გართული  
საქმეში, რომ არას გზით არ შეუძლიან პირა-  
დად თითონ გამოცხადდეს აქ, მაგრამ მე დარ-  
წმუნებული ვარ, როდესაც თქვენ მე მომის-  
მენთ, მაშინ ყოვლის ულაპარაკობ მეფის გვირ-  
გვინს დაადგამთ ჩემს პატრონს. მე ვიცი, აქ  
თვითეული თქვენგანი ლაპარაკობდა თავის გა-  
მარჯვებებზე და ლაპარაკობდა სამართლია-  
ნადაც, მაგრამ ამ თქვენი გამარჯვებების ნა-  
ხევარი მაინც უნდა მიეწეროს ჩემის პატრო-  
ნის მოხერხებულობას. ის იმნაირათ აუძლურებს  
ადამიანის სხეულის ნაწილებს, რომ იმათ აღარ  
შეუძლიანთ თქვენი წინააღმდეგობა, როდესაც  
თქვენ იმათხედ იღავერებთ. ეს ის არის, რომე-  
ლიც აფუჭებს სისხლს, ასე რომ, ჭრილობები,  
რომლებსაც უიმისოდ შეუძლოთ მორჩინა, ხდები-  
ან განუკურნავება. ეს ის არის, რომელიც აგდებს  
ხალხს გარუცნილობაში და ყოველნაირ დანაშაუ-  
ლობაში. რაღა უნდა ითქვას მის პირდაპირ მსხვერ-  
პლებზე! როგორც არ შეიძლება ქვიშის დათელა-  
ზღვის ნაპირზე, ეგრეთვე არ შეიძლება სირ შე-  
დგეს მისი გამარჯვების რომლენობისა. ასი ათას  
მსხვერპლს ის ისტუმრებს ყოველ წლივ  
სამარეში. მას როგორც ეშმაკობა, ისე სიძლიერე-

ერთნაირი აქვს. თქვენ ყველა ხალხი გერიდებათ, იმას-კი თითონვე ეძებენ; თქვენ ხაღას ეჯავ-რებით, ის-კი უყვართ, და უყვართ ხახელ-დობრ იმათ, ვისაც ისა ჰქლავს. ყველა დღე-სასწაულებზე ჩემი პატრონი სასურველი სტუ-მარია; ქორწილებზე ხომ ის ჰმეფობს როგორც დემონი და ყველას ბატონია. თქვენთან საბრ-ძოლველად ხალხი ხარჯავს ფულს ექიმებზე, აფთიაქებზე, ჩემი „ხაზეინი“-კი ახარჯვინებს თა-ვისთვის იმათ, ვისაც იგი სწამლავს. ძალის და-ტანებაც არ არის საჭირო დახარჯვაზე. ხალხს თითონვე მოაქვს ჩემ „ხაზეინთან“ ყოველი თა-ვისი კეთილი, ზოგჯერ სისხლის ოფლით მო-პოვებული; მას სწირავენ დროს, რომელიც ზაფხულობით ხალხისათვის ოქროზე მეტად უძვირფასესია; მას აძლევენ ჯანმრთელობას, ურიმლისოთაც სიცოცხლე მხოლოდ წვალე-ბაა. ჩემის „ხაზეინისთვის“ ხალხი არ ზოგავს არც თავის ახალგაზღობას, არც პატივასადებ მოხუ-ცებულობას, არც საყვარელ ცოლს, არც სა-კუთარ ღვიძლ-შვილებს, არც პატივს, არც სი-ნიდის. ჩემი „ხაზეინმა“ ყველას ისე მოუარ და გააბა თავის მახეშვ., რომ მოქმედობს სრულის თავისუფლებით. ომი, ისიც-კი დრომდის ჰქა-ლავს თავის ზარბაზნებს, ჩემს „ხაზეინს“-კი სრუ-ლიალ აშკარათ გამოიღმული აქვს ზარბაზნები, დიდი და პატარა. მითხარით, განა შეიძლება წარმოიდგინოთ უფრო მოქმედებული მაცო-რობა! ეს კიდევ სულ ყველაფერი არ არის. როდესაც ჩემი „ხაზეინი“ ამარცხებს ოჯახის ერთ-ერთ წევრს, იტანჯებიან ყველა დანარჩენებიც. როდესაც ის სჯობის გამას, ან დედას, მაშინ ის სჯობის შვილებსაც. თქვენ სპობთ კერძო პირებს; ჩემი „ხაზეინი“-კი მუშაობს მთელინა-თვისთვის მოსპობაზე. და ეს კიდევ სულყვე-ლაფერი არ არის. თქვენ ჰქლავთ სხეულს, — ჩემი „ხაზეინი“-კი ჰლუბავს სულსაც”...

კრება, სულ-განაბული, ყურს უგდებდა აღფრთოვანებულ სიტყვის ორატორისას.

„ვინ ხარ შენ? და ვინ არის შენი „ხაზე-ინი?“ — ჰქითხა მას ხორციელმა გარევნილობამ, რომელსაც არ უნდოდა პირველობა სხვისთვის დაეთხო.

— „ჩემი „ხაზეინია“ ლოთობა, და მე მისი მსახური ვარ“, — უბასუხა მას მოლაპარაკებ.

„გაუმარჯოს ლოთობას!“ შესძახა ყრი-

ლობამ. „ურა, მეფევ ქორწინებასა, ნიმუშით ეს ანგელოზო სიკვდილისა, მოსისხლი მეტრული კაცობრიობისა!“

ერთხმად გადასწყვიტეს მიუსაჯონ ოქროს გვირგვინი ლოთობას; იგი ყველისაგან ცნო-ბილ იქმნა მეფედ კაცობრიობის მტრებისა.

მდ. ითანა დუკანზე.

რედაქტორი, მლეალი სიმონ მამლიძე. გამომცემელი, იოსებ ლეზავა.

8 5 6 3 6 1 4 6 1 6 0.

## სტამბუ „მროვა“

დაბა უზირილაში

შვირილის რკინის გზის ხიდის პირდაპირ ღებულობს უოველგვარ სასტამბო საქმე.

გეგეჭავთ: ბლანქებს, აფიშებს, განცხადებებს, წიგნებს, ბრუნიურებს და უოველგვარ მოსა-წევე წერილებს; ქარწინებისას, ხათვებისას, სამგლოვაროსას და სხვ. აგრეთვე კონტა-რებისათვის საანგარიშო წიგნებს და წიგნა-ბებს, კვირანციებს, იარლიკებს, სადარბაზო ბარათებს (ფიზ. კარტ.) და სხვ.

აგრეთვე გვაქვს დამზადებული ყველა სასწავლე ბლ. სათვის კლასის ურნალები და ბილეთები.

საქმეებს ვასრულებთ სუფთად და თავის დროზე ძლიერ დაქლებულ ფასებშა.

რაშიდაც შეუძლიანთ დარწმუნდენ თვით პატივულის ზაკაზჩიკები.

ადრესი: ყვირალა სტამბა „შომა“.

Адресъ: Типогр. „Трудъ“ Квирилы

# გ ბ ა ბ ე ძ ლ ე ბ ძ .

თბილის და ქუთაისის წიგნის მაღაზიებში და მოწამეთის მონასტერში იყიდება არხიმანიდოტის ნეკტორის მიერ შედგენილ - გამოცემული  
წიგნები სასულიერო მინაარსისა:

1) კაიაფას ვაჟი შვილი	—	50 კ.
2) მესამე ოქრო	—	5 კ.
3) გზა ცხოვრებისა	—	30 კ.
4) ძველ აღთქმის საღვთო ისტორია 50 კ.		
5) ახალი აღთქმის საღვთო ისტორია 40 კ.		
6) სიკვდილი მართლისა	—	10 კ.
7) ერთი ღმერთ აკალდამაში	—	5 კ.
8) არა კაც კლა	—	5 კ.
9) კარგი ჭველგან კარგია	—	10 კ.
10) ქრისტიანობა და დემოკრატია, ქრისტიანობა და სოციალიზმი 15 კ.		
11) ცოლ-ქრისტიანობა (საღვთო წერილიდან)	—	— 5 კ.
12) მამა დავით გარეჯელის ცხოვრება და მოღვაწეობა	—	10 კ.

სამკითხველოებს და სასოფლო მკოლების, როგორც სამრევლოს ისე საერთს, საღდ ფულზე ვინც გამოიწერს, უკალ წიგნებს დაუთმობ ნახევარ ფასად. ხოლო წიგნის მაღაზიებში, რომელიც ნაღდ ფულზე გამოიწერებ, დავუთმობ  $30\%$ , აღრესი: Черезъ Кутаисъ въ Мощамети. Архимандриту Нестору. ვინც ისურვებს ჩემგან პირდაბირ გამოწერას, ვსთხოვ აღრესი გარკვევით მომწერთს.

„შინაური საქმეები“-ს რედაქტირაში იყიდება:

კლიროვის უწევებები ახალი ფორმისა და ეველა უწევები (ВѢДОМОСТИ) წლიური საბლაფოჩინო ანგალიშებისათვის. ბლანკები „მმბის“ გამოცემა და ფულიც მას კუთვნის. ვასი ბლანკებისა — რწევილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს — 4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზონ შემდეგი აღრესით: Кутаисъ, Правленіе релігіозно-просвѣтительного „братства“.

Ольденбургская д. № 5.